


<p>ხელშეკრულება <u>60-7-219-487</u> ქ. თბილისი 2019 წ. <u>04.04</u></p>	<p>Agreement _____ Tbilisi, 2019 _____</p>
<p>I. შარები</p> <p>1.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთი მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდაიშვილის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ „SEL Georgia“ (შემდგომში-„მიმწოდებელი“) შორის, წარმოდგენილი ევროპაში საინჟინრო განხრის რეგიონალური დირექტორის - ისააკ აროიო ლოპესის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.</p>	<p>I. Parties</p> <p>1.1. The present agreement hereof is made by and between “Georgian State Electrosystem” JSC, represented by Member of Management Board David Vardiashvili (hereinafter referred to as the „Purchaser“), on one hand, and „SEL Georgia“ (hereinafter referred to as the „Supplier“), represented by Isaac Arroyo López - Engineering Services Regional Director for Europe on the other hand, acting on the basis of the charter of the company and in accordance with the applicable legislation.</p>
<p>II. ხელშეკრულების საგანი</p> <p>2.1. „მიმწოდებელი“ ჰყიდის, ხოლო „შემსყიდველი“ ყიდულობს 35კვ-ის უჯრედის (30 მგვტ) მეორად მოწყობილობებს (CPV კოდი: 31200000) შემდგომში წოდებულს „საქონელი (თანმდევრი მომსახურებით)“ დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი #2 (ტექნიკური სპეციფიკაცია) შესაბამისად.</p>	<p>II. Subject to the Agreement</p> <p>2.1. The Supplier sells and the Purchaser buys SS Navtlugi 220 - 35 kV OHL protection panel (CPV code: 31200000) hereinafter referred to as „Goods (with support service) in complete accordance with Annex #1 (Price List) and Annex #2 (Technical Specification).</p>
<p>2.2. დანართი #1 და დანართი # 2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.</p>	<p>2.2. The Annexes #1 and #2 are integral parts of the Agreement hereof.</p>
<p>III. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები</p> <p>3.1. საქონლის (თანმდევრი მომსახურებით) საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) მიხედვით და შეადგენს 98 408 (ოთხმოცდათვრამეტი ათას ოთხას რვა) ლარს დღგ-ს ჩათვლით (შემდგომში-„ხელშეკრულების ღირებულება“). ხელშეკრულების ღირებულება ითვალისწინებს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.</p>	<p>III. Value of the Goods and Terms and Conditions of Settlement</p> <p>3.1. The total value of the Goods (with Support Service) is defined in accordance with the Annex #1 (Price list) hereunder and amounts to 98 408 (Ninety Eight thousand Four Hundred Eight) GEL VAT Incl. (hereinafter referred to as the “Value of the Agreement”). The value of the Agreement shall include all the expenses of the Supplier.</p>
<p>3.2. „შემსყიდველი“ ანგარიშსწორებას განახორციელებს ინვოისების შესაბამისად ლარებში საბანკო გზავნილების სახით.</p>	<p>3.2. The Purchaser shall carry out payment of the invoices on due date in GEL by wire bank transfer.</p>
<p>3.3 იმ შემთხვევაში თუ „მიმწოდებლის“ მიერ მოთხოვნილი იქნა საავანსო გადახდა, „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ უხდის საავანსო თანხას („ხელშეკრულების ღირებულების“ არაუმეტეს 30%-ისა). „მიმწოდებლის“ მხრიდან შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით მეტი ვადით. იმ შემთხვევაში თუ</p>	<p>3.3 If advance payment is required by the Supplier, the Purchaser shall pay to the Supplier the advance amount (at most 30% of the value of the Agreement) in case of submission of the bank guarantee for the appropriate amount by the Supplier, within 5 (five) business days after submission of the bank guarantee . In case if the Supplier is VAT Payer the appropriate documentation of Bnk guarantee should be submitted within 2 (Two) business days after paying advance payment. The prepaid amount shall be counted in making the</p>

„შემსყიდველი“
„THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board



„მიმწოდებელი“
„THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe




<p>„მიმწოდებელი“ არის დღგ-ს გადამხდელი, საბანკო გარანტიის შესაბამისი ანგარიშფაქტურა წარმოდგენილი უნდა იყოს ავანსის გადახდიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში. ავანსად გაცემული თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშწორებისას</p> <ul style="list-style-type: none"> რეზიდენტი „მიმწოდებლის“ მიერ საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულებიდან შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული 	<p>final payment.</p> <ul style="list-style-type: none"> In case of resident Supplier, irrevocable unconditional bank guarantee shall be submitted from the licensed bank in Georgia, in the following format: Printed Warranty on the title of the issuer (on letterhead), signed and / or sealed.
<p>3.4. ანგარიშწორება განხორციელდება 2 ეტაპად ავანსად გაცემული თანხის გარდა :</p> <p>1-ელი ეტაპი: საქონლის მოწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.</p> <p>მე-2 ეტაპი: თანმდევ მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.</p>	<p>3.4. Payment will be carried out in two parts except the amount paid in advance :</p> <p>1st Part: within 10 (Ten) banking days on receipt of Goods and signing of the delivery-acceptance certificate according to Annex #1 (Price List)</p> <p>2nd Part: within 10 (Ten) banking days after signing of the delivery-acceptance certificate for the Support Service according to Annex #1 (Price List)</p>
<p>IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები</p> <p>4.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.</p>	<p>IV. Rights and Liabilities of Parties</p> <p>4.1. The Purchaser undertakes the liability to pay the price of the Goods (with Support Service) to the Supplier in line with the terms and conditions of the Agreement hereof.</p>
<p>4.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესახებ.</p>	<p>4.2. The Purchaser is entitled to demand complete information about the Goods(with Support Service) from the Supplier.</p>
<p>V. საგარანტო მხარდაჭერის პირობები და ვადები</p> <p>5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა იმის გარანტიას, რომ მისაწოდებელი საქონელი (თანმდევი მომსახურებით) სრულად შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში #2 -ში (ტექნიკური სპეციფიკაცია) მოცემულ ტექნიკურ პირობებს და საქონელი(თანმდევი მომსახურებით) ხასიათდება დამზადების მაღალი ხარისხით.</p>	<p>V. Warranty terms and conditions</p> <p>5.1. The Supplier Warrants that the delivered goods(with Support Service) are in full compliance with the technical specifications provided in Annex #2 (Technical Specification) to the present Contract and the Goods(with Support Service) has the highest quality of manufacturing.</p>
<p>5.2. საქონლის საგარანტო ვადა შეადგენს 10 (ათი) წელს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან SEL-ის ყველა პროდუქტზე. ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის ერთადერთი და ექსკლუზიური გარანტია მოცემულია SEL-ის პროგრამული უზრუნველყოფის სალიცენზიო შეთანხმებაში.</p>	<p>5.2. The period of the warranty for all SEL products is 10 (ten) years after signing the relevant delivery-acceptance certificate. The sole and exclusive warranties for any software are set forth in the SEL Software License Agreement.</p>
<p>5.3. გარანტია არ ვრცელდება საქონლის (თანმდევი მომსახურებით) დეფექტებზე და ნაკლოვანებებზე, რომლებიც გამოწვეული იქნება „შემსყიდველის“ მიერ მისი არასწორი</p>	<p>5.3. The Warranty does not cover the defects or deficiencies which are occurred due to the improper handling, improper storage, incorrect erection,</p>


„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board

„მიმწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe




<p>გადატანით ან არასათანადო შენახვით, მონტაჟითა და ექსპლუატაციით ან მუშაობის ან მოვლა-შეკეთების დროს დაშვებული შეცდომებით; ასევე ნორმალური ცვეთა არ იფარება გარანტიით და მასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ანაზღაურებულ უნდა იქნეს „შემსყიდველის“ მიერ.</p>	<p>commissioning or mistakes made by the Purchaser during the operation or maintenance process, the warranty does not cover the normal wear out and tear, and all the expenses related to it shall be borne by the Purchaser.</p>
<p>5.4. „მიმწოდებელი“ გარანტიის პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯით გაასწორებს ნებისმიერ დეფექტს ან შეუსაბამობას (შემდგომში წოდებული დეფექტად), შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში. თუ ეს შეუძლებელია, შეცვლა მოხდება გონივრულ ვადაში ხარვეზის არსის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს შემდგომი 14 (თოთხმეტი) კვირის განმავლობაში თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია ან არ გამოთქვამს სურვილს საქონლის შეკეთების ან შეცვლის, „მიმწოდებელმა“ და „შემსყიდველმა“ უნდა მოილაპარაკონ და მოძებნონ სამართლიანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება ვალდებულია მოლაპარაკება მიაწოდოს სამართლიან გადაწყვეტილებას, როგორცაა ნაწილობრივი თანხის დაბრუნება ან კრედიტი „შემსყიდველის“ ანგარიშზე. ნებისმიერი პროდუქტის შეკეთება ან განახლება უნდა დაიფაროს ამ გარანტიით, რომელიც ვრცელდება ერთი (1) წლის ვადით შეკეთების თარიღიდან ან ორიგინალი გარანტიის პერიოდის დარჩენილი ნაწილიდან.</p>	<p>5.4. The Supplier, during the warranty period, shall on its own expenses remedy any defect or nonconformity (hereinafter referred to as defect(s)) during the 2 (Two) weeks after the written notification from „The Purchaser“ resulting from faulty design, used materials or workmanship. If it is impossible, „The Supplier“ is liable to replace Goods (with Support Service) within a reasonable period taking into account the nature of the defect and in any case within no more than 14 (Fourteen) weeks. If „Supplier“ is unable or unwilling to repair or replace, SEL and Purchaser shall negotiate an equitable resolution such as a prorated refund or credit to the „Purchaser’s“ account. Any Product repair or upgrade shall be covered by this warranty for the longer of one (1) year from date of repair or the remainder of the original warranty period.</p>
<p>5.5. თუ რომელიმე პროდუქტი არ შეესაბამება ამ გარანტიის პირობებს, მაშინ შემსყიდველმა უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამგვარი ხარვეზის შესახებ და დააბრუნოს პროდუქტი მიწოდებლის ქარხანაში დიაგნოსტიკისათვის (და გადაიხადოს ამგვარ დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველანაირი ხარჯი), მიმწოდებელმა უნდა გამოასწოროს ნებისმიერი ასეთი ხარვეზი, საკუთარი შეხედულებისამებრ, იქნებ ეს ხარვეზიანი ან დაზიანებული პროდუქტის ნაწილების შეკეთება თუ ნაწილების ან პროდუქტის შეცვლა, ტრანსპორტირების საფასურს წინასწარ გადაიხდის მიმწოდებელი (ტვირთის ტრანსპორტირება კლიენტის სამუშაო CPT ადგილამდე)</p>	<p>5.5. If any Products fails to confirm to this warranty, Buyer properly notifies SEL of such failure and Buyer returns the Product to SEL factory for diagnosis (and pays all expenses for such return), SEL shall correct any such failure by, at its sole discretion, either repairing any defective or damaged Product part(s) or making available any necessary replacement part(s), or product(s); freight will be prepaid by SEL (Carriage Paid To (CPT) customer’s place of business).</p>
<p>VI. მიწოდების ადგილი და ვადები 6.1. „მიმწოდებელმა“ საქონელი (თანმდევი მომსახურებით) „შემსყიდველს“ უნდა მიაწოდოს შემდეგ მისამართზე DDP საქართველო, თბილისი, (Incoterms 2010 პირობით) : ნაკადულის ქუჩა N2.</p>	<p>VI. Terms and place of supply 6.1. The Supplier shall supply the Goods (with support service) to the Purchaser at the following address according to DDP Georgia, Tbilisi (Incoterms 2010) conditions: Nakaduli str. #2</p>
<p>6.2. საქონლის (თანმდევი მომსახურებით) მიწოდების ვადებია: საქონლის მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კვირა;</p>	<p>6.2. Delivery period of Goods (with support service) are: Delivery period of Goods: 14 (fourteen) weeks after signing the Agreement.</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board




„მიმწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe





<p>თანმდევი მომსახურების გაწევის ვადა: „შემსყიდველი“ მის მიერ სამუშაო ადგილზე პანელებისა და სადენების ინსტალაციის შემდგომ თანმდევი მომსახურების გაწევის დაწყებამდე 4 კვირით ადრე უგზავნის „მიმწოდებელს“ წერილობით შეტყობინებას თანმდევი მომსახურებისათვის მზადყოფნის თაობაზე და განუსაზღვრავს თანმდევი მომსახურების დაწყების კონკრეტულ თარიღს.</p> <p>თანმდევი მომსახურების გაწევის ვადაა: „შემსყიდველის“ წერილობით შეტყობინებაში მითითებული კონკრეტული თარიღიდან 2 კვირა.</p>	<p>Delivery period of Support Service: After on-site Panel and wiring installation, the „Purchaser“ sends written notification to the „Supplier“ 4 weeks prior beginning the Support service. The exact date for beginning the Support Service will be defined in the sent written notification.</p> <p>Period for rendering support service: 2 (two) weeks from the exact date defined in the written notification sent by the „Purchaser“ to the „Supplier“</p>
<p>VII. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>7.1. „მიმწოდებლის“ მიზეზით საქონლის (თანმდევი მომსახურებით) დაგვიანებით, არასრულად ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის(თანმდევი მომსახურებით) ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის(თანმდევი მომსახურებით) სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 7.5 %-სა.</p>	<p>VII. Responsibilities of the Parties</p> <p>7.1. In case of delay, incomplete delivery or non-delivery of the goods(with Support Service) due to the fault of the Supplier, the Supplier shall be liable to repay the penalty in amount of 0,1% for each calendar day overdue till the day of the delivery of quality goods(with Support Service) or termination date of the Agreement, whichever period occurs earlier, but not more than 7.5 % of the value of the Agreement.</p>
<p>7.2. ნებისმიერი შემდგომი პრეტენზიები ზიანის დამატებით ანაზღაურებაზე გამოირიცხება. უფლება რაიმე ზიანის კომპენსაციის მოთხოვნაზე ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა შეიზღუდოს, საერთო ჯამში ხელშეკრულების ღირებულებით. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს იმ დეფექტებსა და შემსყიდველის შემდგომ პრეტენზიებზე, რომელი ზიანიც პირდაპირ არ არის ნახსენები ამ დოკუმენტში, მიუხედავად სამართლებრივი მიზეზისა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ზარალი მიყენებულია განზრახვი ქმედებების გამო, მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა მიუხედავად აღნიშნული ფარგლებსა, მაგრამ კანონის შესაბამისად.</p>	<p>7.2. Any further claims for damages in excess shall be excluded. The right to claim compensation for any damages shall be limited in any case in total to the perspective total amount of the contract. The Supplier shall not be liable for defects and further claims for damages by the Purchaser not expressly mentioned herein, irrespective to the legal cause. However, in the event that the damage in question is proved to be due to intentional acts, the Supplier shall be fully liably notwithstanding of above mentioned limits but within the limits of mandatory law.</p>
<p>7.3. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი(თანმდევი მომსახურებით) არის უხარისხო, ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტში მითითებული ჯარიმები უხარისხო საქონლის(თანმდევი მომსახურებით) მაგივრად ხარისხიანი საქონლის(თანმდევი მომსახურებით) სრულად მიწოდების დღემდე დაეკისრება მიმწოდებელს. პუნქტი 7.1 მოქმედება ასევე ვრცელდება საგარანტიო პერიოდზე.</p>	<p>7.3. If the GOODS delivered by The Supplier will prove defective, penalties specified in the clause 7.1 of this contract till date of delivery of qualitative Goods (with Support Service) instead of the defective Goods, will be exacted from The Supplier. Action of the clause 7.1 also extends to the warranty period.</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board




„მიმწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe




<p>7.4. „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის(თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ პირგასამტებლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 7.5%-სა.</p>	<p>7.4. In case of delay (delayed) of payment by the Purchaser the Supplier may request the Purchaser payment 0.1% of the unpaid amount for each day of delay till the termination date of the Agreement or fully payment day, whichever period occurs earlier, but not more than 7.5 % of the value of the Agreement.</p>
<p>7.5. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტიურად მიწოდებული საქონლის(თანმდევი მომსახურებით) ღირებულების ანაზღაურებისას გამოკვეთოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და „მიწოდებელზე“ დარიცხული პირგასამტებლოს თანხა „მიწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოკვეთვა არ შეიძლება გახდეს „მიწოდებლის“ მხრიდან „შემსყიდველისათვის“ 7.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტებლოს დარიცხვის საფუძველი.</p>	<p>7.5. The Purchaser is authorized to deduct (to reduce payment by) accrued penalties and fines envisaged by this article and charged to the Supplier during payment of price of actually delivery goods (with Support Service). This deduction cannot be mentioned as a basis of penalty from the Supplier to the Purchaser according to the paragraph 7.4.</p>
<p>VIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი 8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ პროექტების დეპარტამენტის უფროსი - მამუკა შონია.</p>	<p>VIII. Control over Implementation of the Agreement 8.1.The control over implementation of the Agreement by the Purchaser is carried out by Mamuka Shonia – Head of Projects Department.</p>
<p>8.2. კონტროლი გულისხმობს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შედარებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ პირობებთან. კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ხარისხისა და მიწოდების ვადების გათვალისწინებით.</p>	<p>8.2. The control is carried out through compliance of the conditions of Agreement according to quality and delivery terms of the Goods (With Support Service).</p>
<p>8.3. „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.</p>	<p>8.3. The Supplier shall be obliged to correct all the defects or faults revealed after such control at its own expense.</p>
<p>IX. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი 9.1. მიღება- ჩაბარების აქტი ფორმდება 2 ეტაპად. <u>1-ელი ეტაპი</u> : საქონლის მოწოდებაზე მხარეთა შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მოწოდებულ „საქონელზე“. <u>მეორე ეტაპი</u> - თანმდევი მომსახურების დასრულების შემდგომ მხარეთა შორის დგება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეულ თანმდევ მომსახურებაზე.</p>	<p>IX. Delivery-Acceptance Procedure of Purchase Object 9.1. Signing of the delivery-acceptance certificate will be carried out in two parts : <u>1st Part</u>: After the delivery of Goods and signing of the delivery-acceptance certificate is carried out of the actually delivered Goods. <u>2nd Part</u>: After signing of the delivery-acceptance certificate according to actually rendered Support Service.</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board




„მიწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe




<p>9.2. „მიწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს საქონლის (თანმდევი მომსახურებით) შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე(თანმდევი მომსახურებით).</p>	<p>9.2 The person defined by the Purchaser according to the subparagraph 8.1 hereunder shall check the compliance of the delivered Goods(with Support Service) with the terms and conditions of this Agreement. In case of absence of defect, the delivery-acceptance certificate shall be concluded on the actually delivered Goods(with Support Service).</p>
<p>9.3. საქონელი(თანმდევი მომსახურებით) მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარებების აქტის გაფორმებისთანავე.</p>	<p>9.3. The Goods (with Support Service) shall be considered as accepted upon signing of the delivery-acceptance certificates by and between the parties.</p>
<p>9.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირად განისაზღვროს მმართველთა საბჭოს წევრი - ზაქარია ავალიანი</p>	<p>9.4 Person defined to sign the Delivery – Acceptance Certificate by the „Purchaser“ is Member of Management Board – Zakaria Avaliani.</p>
<p>X. ფორს-მაჟორი</p> <p>10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარო სანქციების გამოყენებას.</p>	<p>X. Force-Majeure</p> <p>10.1. Suspension of the terms and conditions of the Agreement or any of them due to incurring of the force-majeure circumstances shall not be considered as non-implementation or violation of the terms and conditions of the Agreement hereof and will not cause imposing of the penalty sanctions.</p>
<p>10.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ტერორისტული აქტებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.</p>	<p>10.2. For the purposes of the article hereof, “Force-Majeure” means the circumstances insuperable for the parties and beyond their control or independent from the parties, which are not related to their errors and negligence and which bear the preliminarily unforeseen character. Such circumstances might be caused due to war or natural calamities, acts of terrorism, epidemic, quarantine, imposing of embargo, etc. For sufficient certificate confirming existence of force-majeure, the parties agree upon to consider the appropriate certificate issued by the Chamber of Commerce and Industry of the relevant country.</p>

„შემსყიდველი“
„THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board




„მიწოდებელი“
„THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe



<p>10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.</p>	<p>10.3. In case of incurring of force-majeure circumstances, the contractual party, for which it becomes impossible to implement the undertaken liabilities, shall immediately send to the other party the written notification regarding such circumstances or their reasons. If the party sending the notification does not receive the written response from the other party, such party at its discretion, according to the appropriateness and the own capabilities continues to implement the liabilities undertaken due to the Agreement hereof and tries to find out such alternative ways for implementation of the liabilities, which would be independent from impact of the force-majeure circumstances.</p>
<p>XI. ურთიერთობა მხარეებს შორის</p> <p>11.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.</p>	<p>XI. Relations between the Parties</p> <p>11.1. Any official relations between the contractual parties shall be implemented in writing. The written notification, which the party sends to the other in accordance with the Agreement, shall be sent in form of the mail notification, which shall be signed by the person authorized for management and/or representation. With the purpose to set the immediate and efficient contact, it is possible to send the notifications via e-mail (scanned version of the letter) or fax, with the conditions to deliver the original lately.</p>
<p>11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.</p>	<p>11.2. The notification enters into force on the day of its receipt by the addressee or the date set for validation of the notification, whichever incurs later.</p>
<p>XII. თანმდევრი მომსახურება</p> <p>12.1 თანმდევრი მომსახურება გულისხმობს : ახალი უჯრედის ინტეგრირებას სალტეების დიფერენციალურ დაცვაში; ახალი უჯრედის ინტეგრირებას ოპერატიულ ბლოკირებაში; SCADA-ს სისტემაში ინტეგრირება; არსებული მეორადი სქემების განახლება ახალი უჯრედის გათვალისწინებით</p>	<p>XII. Support Service</p> <p>12.1 Support service means : Integration into the existing busbar protection Integration into the existing interlocking system Integration into SCADA system Updating existing drawing</p>
<p>XIII. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა</p> <p>13.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.</p>	<p>XIII. Modification of the Terms and Conditions of the Agreement and/or early Termination</p> <p>13.1. Any modification and/or amendment to the Agreement hereof might be carried out on the basis of the written agreement by and between the parties.</p>

„მომსყიდველი“
 „THE PURCHASER”
 David Vardiashvili
 Member of Management Board



„მიწოდებელი“
 „THE SUPPLIER”
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe



<p>13.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს: 13.2.1. მხარეთა შეთანხმებით; 13.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში.</p>	<p>13.2. The agreement might be terminated preliminarily in the following cases: 13.2.1. Upon agreement of the parties; 13.2.2. With the statement of one of the parties in case of substantial violation of the terms and conditions of the Agreement hereof by the other party.</p>
<p>13.3. „შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს: 13.3.1. თუ „შემსყიდველისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; 13.3.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში; 13.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს. 13.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>13.3. The Purchaser may terminate the agreement preliminarily in the following cases: 13.3.1. If it becomes known to the Purchaser that due to the reasons beyond the control of the latter, the Purchaser fails to provide implementation of the liabilities imposed hereof; 13.3.2. In case of bankruptcy of the Supplier; 13.3.3. If it becomes known to the Purchaser that the information submitted by the Supplier is false which is the basis for losing of confidence of the Purchaser. 13.3.4. In other cases as stipulated by the applicable legislation of Georgia.</p>
<p>13.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.</p>	<p>13.4. Modification of the terms and conditions of the procurement agreement is inadmissible, if as the result of such modifications the total value of the Agreement increases or the terms and conditions of the Agreement for the procuring entity are deteriorated, except for the cases stipulated by the Article 398 of the Civil Code of Georgia. Besides, the total value of the Agreement shall not increase by more than 10%.</p>
<p>XIV. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება 14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.</p>	<p>XIV. Interfering to Implementation of the Agreement 14.1 If during the process of implementation of the Agreement the parties face any impeding circumstances, due to which implementation of the terms and conditions of the Agreement is interfered, such party shall immediately send to the other party the written notification on fact of interfering, its possible duration and the reasons. The party receiving the notification shall communicate own decision made regarding the indicated circumstances to the other party as soon as possible.</p>
<p>14.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან</p>	<p>14.2. In the event if due to interfering to implementation of the terms and conditions of the Agreement the parties</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“

David Vardiashvili
 Member of Management Board

„მიმწოდებელი“
 „THE SUPPLIER“


Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe

<p>ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.</p>	<p>agree upon to prolong the term for implementation of the terms and conditions of the agreement, such decision shall be concluded by means of introducing of the modifications into the Agreement.</p>
<p>XV. დავათა განხილვა 15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.</p>	<p>XV. Settlement of Dispute 15.1. The contractual parties hereby agree upon to refer to all the efforts in order to settle all the disputes and the discrepancies incurred by and between the parties regarding the Agreement or the issues related to the Agreement via amicable negotiations,.</p>
<p>15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.</p>	<p>15.2. If in the term of 30 (thirty) days after commencement of such negotiations the parties fail to agree upon the disputable issues, any party is entitled to solve the dispute by applying to the court of Georgia according to the set rule.</p>
<p>XVI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო საგარანტიო ვალდებულებების ნაწილში - საგარანტიო ვადის ბოლომდე.</p>	<p>XVI. Validity of the Agreement 16.1. The agreement enters into force upon its signing by the parties and is valid until performance of the terms and the conditions foreseen by the Agreement, nevertheless no later than December 31st, 2019 and in the part of the warranty obligations – until the deadline of the warranty.</p>
<p>XVII. დამატებითი პირობები 17.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვარიანტს.</p>	<p>XVII. Miscellaneous 17.1. The Agreement is drafted in Georgian language and English in two copies and each of them bears equal legal force. In case as discrepancy between Georgian and English wording, the text written in the Georgian language shall prevail.</p>
<p>17.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმოწერის წარმოება განხორციელდება ინგლისურ ენაზე.</p>	<p>17.2. Correspondence related to the fulfillment of Present Contract shall be carried out in English language.</p>
<p>17.3. ისეთ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.</p>	<p>17.3. In the cases not stipulated hereunder, the parties shall act in accordance with the applicable legislation of Georgia.</p>
<p>17.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლებებისთვის. დაუშვებელია</p>	<p>17.4. The terms and conditions stipulated by the Agreement hereof are binding and obligatory for implementation by the parties and their legal successors</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board

„მიმწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López

Engineering Services Regional Director for Europe



<p>წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა მესამე მხარისთვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.</p>	<p>and assignees. It is inadmissible to assign the liabilities foreseen by the Agreement hereof to the other party without preliminary written consent by the other party.</p>
<p>17.5. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ უნდა მოხდეს მათი გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.</p>	<p>17.5. The terms and conditions stipulated by the Agreement hereof are the confidential information and shall not be disclosed to the other party, except for the cases prescribed by the legislation.</p>
<p>17.6. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015წ #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 26.03.2019 წლის სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #1656 განკარგულების (თანხმობის) (SMP190001630) შესაბამისად</p>	<p>17.6. The Contract hereof is drawn in accordance to the subparagraph (b), paragraph 3, article 10¹ of the Law of Georgia on State Procurement, the subparagraph (b), paragraph 1, article 3 of the “The rules for defining simplified procurement criteria and conducting simplified procurement procedures” and approval (SMP190001630) of the Chairman of “State Procurement Agency”, order N 1656.</p>
<p>XVIII. პასუხისმგებლობის შეზღუდვა</p>	<p>XVIII. Limitation of Liability.</p>
<p>18. დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობისა ან წინასწარ განზრახული არამართლო მიერი ქმედების შემთხვევების გარდა, (ა) გამყიდველი არ აგებს პასუხს მყიდველის წინაშე ნებისმიერი პირდაპირი ან ირიბი ზარალისა ან ზიანის, მოგების ან პროცენტის ხარჯების გამოყენების დაკარგვის ან მოგების ან პროცენტის ხარჯების დაკარგვის გამო, განურჩევლად იმისა, ისინი გამომდინარეობს კონტრაქტიდან, დელიქტიდან ან სხვა საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს გამონაკლისი არ ვრცელდება გამყიდველის ვალდებულებაზე გადაუხადოს მყიდველს ლიკვიდური ზარალი და (ბ) გამყიდველის ჯამური პასუხისმგებლობა მყიდველის წინაშე, განურჩევლად იმისა, ის გამომდინარეობს კონტრაქტიდან, დელიქტიდან ან სხვა საფუძველზე, არ აღემატება კონტრაქტის საერთო ფასს, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პასუხისმგებლობა არ ვრცელდება გამყიდველის ვალდებულებაზე აუნაზღაუროს მყიდველს საპატენტო უფლების დარღვევით გამოწვეული ზარალი.</p>	<p>18. Except in cases of criminal negligence or willful misconduct, (a) the Supplier shall not be liable to the Purchaser, whether in contract, tort, or other-wise, for any indirect or consequential loss or damage, loss of use, or loss of profits or interest costs, provided that this exclusion shall not apply to any obligation of the Supplier to pay liquidated damages to the Purchaser, and (b) the aggregate liability of the Supplier to the Purchaser, whether under the Contract, in tort or otherwise, shall not exceed the total Contract Price, provided that this limitation shall not apply to any obligation of the Supplier to indemnify the Purchaser with respect to patent infringement.</p>
<p>XIX. ინტელექტუალური საკუთრება</p>	<p>XIX. Intellectual Property.</p>
<p>19. ინტელექტუალური საკუთრება. საავტორო უფლებები ყველა ნახაზსა და სხვა მასალებზე, რომლებიც შეიცავს გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით მყიდველისთვის მიწოდებულ სხვა ინფორმაციას, კვლავ გამყიდველს აქვს მინიჭებული. ამ დებულების არც ერთი პირობა არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც რაიმე პატენტზე, სასარგებლო მოდელზე, სავაჭრო ნიშანზე, პროექტზე, საავტორო უფლებაზე საკუთრების უფლების, ნოუ-ჰაუს ან სხვა ინტელექტუალური</p>	<p>19. The copyright in all drawings, documents and other materials containing data and information furnished to the Purchaser by the Supplier herein shall remain vested in the Supplier. Nothing contained herein shall be construed as transferring ownership of any patent, utility model, trademark, design, copyright, know-how or other intellectual property right from the Supplier or any third part to the Purchaser.</p>

„შემსყიდველი“
 „THE PURCHASER“
 David Vardiashvili
 Member of Management Board

„მიწოდებელი“
 „THE SUPPLIER“
 Isaac Arroyo López
 Engineering Services Regional Director for Europe



